



**USAID**  
ამერიკელი ხალხისგან



საქართველოს  
ახალგაზრდა  
იურისტთა  
ასოციაცია

თავისუფალი, სამართლიანი და  
თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური  
ციკლი 2022-2025 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №37  
ოქტომბერი, 2022

თბილისი, 2022

**ხელმძღვანელი:**

ნანუკა ყრუაშვილი

**ავტორი:**

ზურაბ შელია

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.



**USAID**  
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2022 წლის აგვისტოდან მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო პროექტის „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2022-2025 წლებში“ იმპლემენტაცია. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს.

## 1. პარლამენტში ევროკომისიის 12-პუნქტიანი გეგმის შესასრულებლად გადადგმული ნაბიჯები

### საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილება

4 ოქტომბერს პარლამენტმა, იურიდიულ კომიტეტზე ევროკომისიის 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულების გეგმის ფარგლებში, პირველი მოსმენით განიხილა „საარჩევნო კოდექსა“ და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებების პროექტი.<sup>1</sup> საკითხი პლენარულ სხდომაზე 5 ოქტომბერს გავიდა, კანონპროექტს 83-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი.<sup>2</sup> პირველი მოსმენის შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისს („ეუთო/ოდირი“), ასევე ვენეციის კომისიას საარჩევნო კოდექსში ცვლილებებზე დაჩქარებული მოსაზრების მომზადების თხოვნით მიმართა.<sup>3</sup>

პროექტის მიხედვით, 2024 წლიდან საქართველო არჩევნებზე ელექტრონულ ტექნოლოგიებს გამოიყენებს, რაც საარჩევნო უბანზე მისულ ამომრჩეველთა რეგისტრაციასა და იდენტიფიცირებას, ხმების დათვლასა და შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის პროცედურების გაციფრულებას გულისხმობს. ამასთან, იმ უბნებზე, სადაც ელექტრონული მარეგისტრირებელი და მთვლელი აპარატურა არ იქნება, ხმების ამსახველი ბიულეტენების სრული გაციფრულება და ცესკოს ოფიციალურ ვებპორტალზე აიტვირთება.<sup>4</sup> გარდა ამისა, საკანონმდებლო ინიციატივა აზუსტებს, ნერგავს ან ახლებურად აყალიბებს ცალკეულ პროცედურებს, როგორცაა: გასაჩივრების ვადები, საარჩევნო კომისიის წევრად დანიშვნისა და ადგილობრივ დამკვირვებლად პირის რეგისტრაციის შემზღვეველი გარემოებები, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სერტიფიცირება, არჩევნებში

<sup>1</sup> „პარლამენტი ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების გეგმის ფარგლებში „საარჩევნო კოდექსა“ და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში ცვლილებების პროექტის განხილვას იწყებს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2022 წლის 3 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article>, განახლებულია: 04.11.2022.

<sup>2</sup> კანონპროექტს მხარი დაუჭირეს: „ქართული ოცნების“ 69 დეპუტატმა, „გირჩის“ 2-მა, „მოქალაქეების“ 2-მა და „ევროპელი სოციალისტების“ 2-მა წარმომადგენელმა. ასევე, 7-მა უფრაქციო დეპუტატმა, მათ შორის, პარლამენტის დამოუკიდებელმა წევრმა თამარ კორძაიამ და სამოქალაქო მოძრაობა „ხალხის ძალის“ წევრებმა. „პარლამენტმა საარჩევნო კოდექსის ცვლილებები 83 ხმით მიიღო“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/24699>, განახლებულია: 04.11.2022.

<sup>3</sup> „შალვა პაპუაშვილი ვენეციის კომისიას და ეუთო/ოდირს საარჩევნო კოდექსში ცვლილებებზე მოსაზრების მომზადებას სთხოვს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 31 ოქტომბერი, <https://civil.ge/ka/archives/511177>, განახლებულია: 08.11.2022.

<sup>4</sup> „იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა „საარჩევნო კოდექსა“ და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში ცვლილებები პირველი მოსმენით განიხილა“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 3 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3Omutq1>, განახლებულია: 09.11.2022.

ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლის მონაწილეობის წესი, გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემისას მარკირების წესი და სხვა.<sup>5</sup>

საიამ 30 სექტემბერს, ინიციატივათა პაკეტის განხილვამდე, იურიდიულ კომიტეტს პროექტის შეფასება გაუგზავნა.<sup>6</sup> 3 ოქტომბერს კი კანონპროექტთან დაკავშირებით განცხადება გამოაქვეყნა და დადებითად შეაფასა რიგი ცვლილებები, რომლებიც ზრდის და აკონკრეტებს საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უზნების გადათვლის კრიტერიუმებს, ცვლის საარჩევნო დავების წარმოების ვადებს და ასახავს ეუთო/ოდირისა და ვენეციის კომისიის ზოგიერთ რეკომენდაციას. მიუხედავად ამისა, ორგანიზაციის აზრით, პროექტი სრულად ვერ აუმჯობესებს ქვეყანაში საარჩევნო გარემოს და ვერ გადაწყვეტს ზოგიერთ პრობლემას, მათ შორის, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების, ამომრჩევლის ნების კონტროლისა და საარჩევნო დავების სამართლიანად გადაწყვეტის საკითხებს.<sup>7</sup>

## პარლამენტში 12 რეკომენდაციასთან დაკავშირებით მიმდინარე სხვა პროცესები

გარდა საარჩევნო საკითხებისა, ევროკავშირის 12-პუნქტიანი გეგმის შესრულების მიზნით, პარლამენტში რამდენიმე საკითხზე წარმართა მუშაობა, კერძოდ, 17 ოქტომბერს გენდერული თანასწორობის გაძლიერებასა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით კანონპროექტების განხილვა დაიწყო,<sup>8</sup> 25 ოქტომბერს კი დაიწყო ინტერვიუები ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტზე სახალხო დამცველობის კანდიდატებთან.<sup>9</sup> 31 ოქტომბერს იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა პირველი მოსმენისთვის განიხილა კანონპროექტი „დეოლიგარქიზაციის შესახებ“. კანონპროექტს ოპოზიციის წარმომადგენლებმა მხარი არ დაუჭირეს.<sup>10</sup> „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, ლევან ბეჟაშვილის თქმით, მომზადებული ვერსია ქართულ რეალობას არ ითვალისწინებდა და უკრაინულის ანალოგს წარმოადგენდა.<sup>11</sup>

## 2. სენაკის არალეგიტიმური საკრებულო

1-ელ ოქტომბერს სენაკში საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ასარჩევად შუალედური არჩევნები ჩატარდა.<sup>12</sup> კენჭისყრა 3 უბანზე გაიმართა. არჩევნებზე ელექტრონული ტექნოლოგიები გამოიყე-

<sup>5</sup> „საიას მოსაზრებები საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ვებგვერდი, 2022 წლის 3 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3Ex8uZP>, განახლებულია: 04.11.2022.

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> იქვე.

<sup>8</sup> „ევროკომისიის 12-პუნქტიანი რეკომენდაციების ფარგლებში, გენდერული თანასწორობის გაძლიერებისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებულ საკითხებზე პარლამენტი კანონპროექტების რამდენიმე პაკეტზე იწყებს მუშაობას“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 5 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3TzjVod>, განახლებულია: 04.11.2022.

<sup>9</sup> „პარლამენტი სახალხო დამცველობის კანდიდატების მოსმენას იწყებს“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 24 ოქტომბრის ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/media/new>, განახლებულია: 04.11.2022.

<sup>10</sup> „დეოლიგარქიზაციის შესახებ“ კანონპროექტს პირველი მოსმენით 80-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი. მათ შორის იყვნენ „ქართული ოცნებისა“ და საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ძალის“ წარმომადგენლები. „დეოლიგარქიზაციის შესახებ“ კანონპროექტის პირველი მოსმენა, კენჭისყრის შედეგები“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/310463?>, განახლებულია: 11.11.2022.

<sup>11</sup> „ლევან ბეჟაშვილი - „დეოლიგარქიზაციის შესახებ“ ქართული კანონი ქართულ რეალობას უნდა შეესაბამებოდეს - ბუნებრივია, ოპოზიციის ფასადურ კანონს მხარს ვერ დაუჭირს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2022 წლის 3 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3tB89Pu>, განახლებულია: 15.11.2022.

<sup>12</sup> „დღეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნები იმართება“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2022 წლის 1-ელი ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/>, განახლებულია: 04.11.2022.

ნეს.<sup>13</sup> საია და „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება - ISFED“ სენაკში შუალედური არჩევნების გაუქმებას და მუნიციპალიტეტის მასშტაბით საკრებულოს რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას ითხოვდნენ.<sup>14</sup> საიას აზრით, სენაკის საკრებულო 6 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ შეკრებილა, რაც, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, მისი დათხოვნისა და რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის საფუძველს წარმოადგენს.<sup>15</sup>

1-ლი ოქტომბრის შუალედური არჩევნების შედეგად, სენაკის საკრებულოში უმრავლესობა „ქართულმა ოცნებამ“ მოიპოვა. 25 ოქტომბერს გამართულ სხდომაზე საკრებულოს ახალ თავმჯდომარედ „ქართული ოცნების“ წევრი საბა ოდიშარია აირჩიეს. 25 ოქტომბრის სხდომას ბოიკოტი გამოუცხადა ოპოზიციამ.<sup>16</sup> პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და პარტია „საქართველოსთვის“ წევრებმა სენაკის საკრებულოში მიმდინარე პროცესები არალეგიტიმურად შეაფასეს. მათ საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის საკითხს ფარსი უწოდეს.<sup>17</sup> ამასთან, მუნიციპალიტეტის საჭიროებებისთვის განსაზღვრულ საკრებულოს შემდგომ საქმიანობაში ჩართვაზე მზაობა გამოთქვეს.<sup>18</sup> თავის მხრივ, „ქართულ ოცნებაში“ განაცხადეს, რომ ოპოზიციას ხელოვნურ კრიზისს არ შეაქმნევენ და კანონის შესაბამისად იმოქმედებდნენ.<sup>19</sup>

29 ოქტომბერს საია „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება ISFED-თან“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოსთან“ ერთად განცხადებით გამოეხმაურა სენაკის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის საკითხს და მიუთითა, რომ სენაკის საკრებულო იყო არაუფლებამოსილი და ახალი საკრებულოს არჩევამდე სენაკის მუნიციპალიტეტი კანონიერი წარმომადგენლობითი ორგანოს გარეშე იქნებოდა დარჩენილი. ორგანიზაციების განცხადებით, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, საკრებულოს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება, თუ ზედიზედ 6 თვის განმავლობაში არ შეიკრიბება, რაც პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შემოღების სამართლებრივი საფუძველია. ამ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს მთავრობა. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის ზედიზედ 6 თვის განმავლობაში შეუკრებლობის მიუხედავად, საქართველოს მთავრობამ არ შეასრულა კანონით დაკისრებული ვალდებულება და არ შემოიღო მუნიციპალიტეტში პირდაპირი სახელმწიფო მმართველობა. საიამ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სენაკში დაგეგმილი შუალედური არჩევნების გაუქმება.<sup>20</sup> სასამართლომ მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, რის შემდეგაც საიამ წამოიწყო დავა მთავრობის წინააღმდეგ სენაკის საკრებულოს უფლებამოსილების შეწყვეტის მოთხოვნით.<sup>21</sup>

**საიას მოსაზრებით, საქართველოს მთავრობამ უნდა შეასრულოს კანონით მასზე დაკისრებული მოვალეობა - მიიღოს დადგენილება საკრებულოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ და შემოიღოს პირდაპირი სახელმწიფო მმართველობა, რაც დროებით განხორციელდება მთავრობის მიერ დანიშნული რწმუნებულის, კოლეგიური ორგანოს ან კანონის შე-**

<sup>13</sup> იქვე.

<sup>14</sup> „საია სენაკში ცესკოს მიერ დანიშნული შუალედური არჩევნების გაუქმებას ითხოვს“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ვებგვერდი, 2022 წლის 15 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3AiAaPH>, განახლებულია: 04.11.2022; „სენაკის მუნიციპალიტეტის არალეგიტიმური საკრებულო აგრძელებს კანონის დარღვევით საქმიანობას“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ ვებგვერდი, 2022 წლის 28 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3UFknCH>, განახლებულია: 04.11.2022.

<sup>15</sup> იქვე.

<sup>16</sup> „არასამთავრობოების თქმით, სენაკის საკრებულომ თავმჯდომარე კანონდარღვევით აირჩია“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 31 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/513262>, განახლებულია: 04.11.2022.

<sup>17</sup> „ოპოზიციონერმა დეპუტატებმა სენაკის საკრებულოს სხდომა დატოვეს“, საინფორმაციო პორტალი „ათინათი“, 2022 წლის 18 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3EHECud>, განახლებულია: 08.11.2022.

<sup>18</sup> იქვე.

<sup>19</sup> იქვე.

<sup>20</sup> „სენაკის მუნიციპალიტეტის არალეგიტიმური საკრებულო აგრძელებს კანონის დარღვევით საქმიანობას“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ვებგვერდი, 2022 წლის 29 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3gaW40n>, განახლებულია: 08.11.2022.

<sup>21</sup> იქვე.

საბამისად განსაზღვრული უფლებამოსილი პირის მიერ მანამ, სანამ რიგგარეშე არჩევნების შედეგად არჩეული საკრებულოს უფლებამოსილება არ იქნება ცნობილი.<sup>22</sup>

### 3. „ქართული ოცნების“ ყოფილი წევრების მიერ დაარსებული ახალი საზოგადოებრივი მოძრაობა

4 ოქტომბერს „ქართული ოცნება“ კიდევ 5-მა დეპუტატმა დატოვა და ე.წ. ოთხეულის მიერ დაფუძნებულ საზოგადოებრივ მოძრაობა „ხალხის ძალას“ შეუერთდა.<sup>23</sup> „ქართული ოცნებიდან“ გავიდნენ დეპუტატები: ზაალ მიქელაძე, ეკა სეფაშვილი, დავით კაჭარავა, ვიქტორ ჯაფარიძე და დაჩი ბერაია. „ხალხის ძალა“ საქართველოს პარლამენტში 9 დეპუტატით იქნება წარმოდგენილი.<sup>24</sup> „ქართული ოცნებიდან“ გასვლის მიუხედავად, ე.წ. ოთხეულის მსგავსად, დანარჩენი ხუთი დეპუტატიც საპარლამენტო უმრავლესობაში დარჩა.<sup>25</sup> მათ გარდა, მოძრაობას რამდენიმე ექსპერტი და ტელენამყვანიც შეუერთდა.<sup>26</sup>

3 ოქტომბერს „ხალხის ძალის“ წარმომადგენელმა, საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატმა, ვიქტორ ჯაფარიძემ ტელეკომპანია „პოს-TV-ის“ 52%-იანი წილი 520 ათას ლარად იყიდა და დაჩქარებული წესით დაირეგისტრირა.<sup>27</sup> „მედიის ადვოკატირების კოალიციამ“ კომუნიკაციების კომისიას მოუწოდა შეესწავლა პარლამენტის წევრის, ვიქტორ ჯაფარიძის მიერ „პოს-TV-ის“ წილის ფლობის კანონიერების საკითხი.<sup>28</sup> ვიქტორ ჯაფარიძის მიერ „პოს-TV-ის“ წილის ყიდვას გამოეხმაურა „ინფორმაციის თავისუფლებისა და განვითარების ინსტიტუტი IDFI“ და კომუნიკაციების კომისიას მოუწოდა ამ საკითხის კანონიერების დადგენა.<sup>29</sup> დეპუტატის აზრით, უკანონობა არ ჩაუდენია - მას აინტერესებდა სატელევიზიო ბიზნესი, მოსწონდა „პოს-TV-ის“ მიერ გაშუქებული ინფორმაცია და ამასთან, არ აპირებდა არხის სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევას.<sup>30</sup>

### 4. კონსტიტუციური ცვლილება გენერალური პროკურორის არჩევის წესში

18 ოქტომბერს პარლამენტმა 126 ხმით, პირველი მოსმენით მიიღო კონსტიტუციურ კანონში ცვლილებების პროექტი, რომელიც გენერალური პროკურორის არჩევის ახალ წესს - 90-ხმიანი კვორუმით არჩევას ითვალისწინებს.<sup>31</sup> პროექტის თანახმად, მომდევნო ორი მოწვევის პარლამენტი გენერალურ პროკურორს 6 წლის ვადით, 90 ხმით აირჩევს. თუ აღნიშნული წესით პარლამენტი

<sup>22</sup> იქვე.

<sup>23</sup> „ქართულ ოცნებას“ კიდევ 5 დეპუტატი: ზაალ მიქელაძე, ეკა სეფაშვილი, დავით კაჭარავა, ვიქტორ ჯაფარიძე და დაჩი ბერაია ტოვებს და ე.წ. ოთხეულს უერთდება“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2022 წლის 4 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3EvD3i>, განახლებულია: 04.11.2022.

<sup>24</sup> იქვე.

<sup>25</sup> იქვე.

<sup>26</sup> იქვე.

<sup>27</sup> „კომუნიკაციების კომისიამ „პოს-TV-ის“ წილების გასხვისების საკითხი უნდა შეისწავლოს“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ ვებგვერდი, 2022 წლის 3 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: [https://idfi.ge/ge/communications\\_](https://idfi.ge/ge/communications_), განახლებულია: 04.11.2022.

<sup>28</sup> „კომუნიკაციების კომისიამ „პოს-TV-ის“ წილის გასხვისების საკითხი უნდა შეისწავლოს“, „საქართველოს ჟურნალისტიკური ეთიკის ქარტიის“ ვებგვერდი, 2022 წლის 1 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.qartia.ge/ka/siakhleebi>, განახლებულია: 08.11.2022.

<sup>29</sup> „კომუნიკაციების კომისიამ „პოს-TV-ის“ წილების გასხვისების საკითხი უნდა შეისწავლოს“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ ვებგვერდი.

<sup>30</sup> „ვიქტორ ჯაფარიძე POSTV-ის შექმნაზე - მაინტერესებს ეგ ბიზნესი და შევიძინე - მოძრაობა „ხალხის ძალის“ პირველი ამოცანაა, რომ ხალხმა სიმართლე იცოდეს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“ 2022 წლის 4 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3tuch3M>, განახლებულია: 08.11.2022.

<sup>31</sup> „პარლამენტმა გენერალური პროკურორის არჩევის ახალ წესთან დაკავშირებით კონსტიტუციურ კანონში ცვლილებები პირველი მოსმენით მიიღო“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2022 წლის 18 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3g9YJYn>, განახლებულია: 04.11.2022.

გენერალურ პროკურორს ორჯერ ვერ აირჩევს, მაშინ მისი არჩევა სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ანუ 76 ხმით მოხდება. ამ შემთხვევაში გენერალური პროკურორის უფლებამოსილების ვადა იქნება ერთი და არა ექვსი წელი.<sup>32</sup>

საპარლამენტო პარტიების მხრიდან კონსტიტუციური ცვლილებების პროექტს არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა.<sup>33</sup> ოპოზიციის ერთმა ნაწილმა განაცხადა, რომ კონკრეტული შენიშვნები აქვთ, მაგრამ საკონსტიტუციო ცვლილებას პირველი მოსმენით მხარი იმიტომ დაუჭირეს, რომ ეს ევროკომისიის რეკომენდაციებიდან ერთ-ერთი პირობაა.<sup>34</sup> ოპოზიციის მეორე ნაწილის აზრით, მხარეებმა „ერთმანეთის ჯიბრზე“ მიიღეს ცუდი კანონი.<sup>35</sup> მმართველ გუნდში განაცხადეს, რომ მხარდაჭერა ერთადერთი არგუმენტით - საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის მიზნით მოხდა.<sup>36</sup>

**საია მიესალმება საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტს და მიიჩნევს, რომ იგი შეესაბამება ევროპული საბჭოს პრეზიდენტის შუამდგომლობით შემუშავებულ 19 აპრილის შეთანხმებას და კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გამოსწორებისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია.<sup>37</sup> საია მიიჩნევს, რომ პოლიტიკური პოლარიზაციის შესამცირებლად მნიშვნელოვანია გენერალური პროკურორი პარტიებს შორის მალაღი კონსენსუსით დაინიშნოს უფლებამოსილების 6 წლის ვადით. ვინაიდან, მისი 1 წლის ვადით არჩევის შემთხვევაში მის მიმართ იარსებებს პოლიტიკური გავლენებისა და მიკერძოებულობის შესახებ ეჭვები.**

8 ოქტომბერს, საქართველოს კონსტიტუციურ კანონში შესატან ცვლილებასთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტში საყოველთაო სახალხო განხილვა გაიმართა.<sup>38</sup> ამავე დღეს, საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ საყოველთაო-სახალხო განხილვის ფორმატში, ქუთაისში, აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტშიც იმსჯელეს.<sup>39</sup> საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის წევრებმა<sup>40</sup> საზოგადოებას საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის მიზეზები გააცნეს.<sup>41</sup>

პარლამენტში განხილვას ესწრებოდნენ პროკურატურის, ადვოკატთა ასოციაციის, იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლები, ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის მიმართულების პროფესორები, იურიდიული კომიტეტის აპარატის თანამშრომლები. საყოველთაო-სახალხო განხილვის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა შეხვედრის წინა დღეს,

<sup>32</sup> „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/24570>, განახლებულია: 09.11.2022.

<sup>33</sup> „პროკურორის არჩევის წესი: დოკუმენტის შინაარსს არც ოპოზიცია და არც მმართველი პარტია არ იზიარებს“, საინფორმაციო პორტალი „Euronews Georgia“, 2022 წლის 19 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://euronewsgeorgia.com/2022>, განახლებულია: 09.11.2022.

<sup>34</sup> იქვე.

<sup>35</sup> მსგავსი მოსაზრება დააფიქსირეს პარტიების „საქართველოსთვის“ და „მოქალაქეების“ ლიდერებმა. იქვე.

<sup>36</sup> იქვე.

<sup>37</sup> ნ. ყრუაშვილი და სხვები, თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში, საინფორმაციო ბიულეტენი №23, 2021 წლის აგვისტო, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: [https://gyla.ge/files/2020/23\\_geo.pdf](https://gyla.ge/files/2020/23_geo.pdf), განახლებულია: 09.11.2022.

<sup>38</sup> „პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა გაიმართა“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 8 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/media/>, განახლებულია: 04.11.2022.

<sup>39</sup> „საქართველოს კონსტიტუციურ კანონში შესატან ცვლილებასთან დაკავშირებით, ქუთაისში საყოველთაო-სახალხო განხილვა გაიმართა“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 8 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3E9AUif>, განახლებულია: 04.11.2022.

<sup>40</sup> საყოველთაო-სახალხო განხილვის კომისიის წევრები საპარლამენტო უმრავლესობიდან იყვნენ: ანრი ოხანაშვილი, მიხეილ სარჯველაძე, ნინო იობაშვილი. საპარლამენტო ოპოზიციიდან: ფრიდონ ინჯია, დავით უსუფაშვილი, იაგო ზვიჩია და მიხეილ დაუშვილი.

<sup>41</sup> „საქართველოს კონსტიტუციურ კანონში შესატან ცვლილებასთან დაკავშირებით, ქუთაისში საყოველთაო-სახალხო განხილვა გაიმართა“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი; „პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა გაიმართა“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი.

ხოლო თავად შეხვედრა ჩატარდა შაბათს თბილისსა და ქუთაისში.<sup>42</sup> პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია კონსტიტუციური კანონის პროექტის განხილვის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში განიხილავს მას.<sup>43</sup> ამ შემთხვევაში განხილვა გაიმართა 1-თვიანი ვადის ბოლო დღეს. განხილვას ესწრებოდა საია. ორგანიზაციის პო-ზიციით, საყოველთაო-სახალხო განხილვისთვის შეხვედრის შესახებ ინფორმაცია გვიან გამოქ-ვეყნდა, განხილვა ჩატარდა პარლამენტის შენობაში, სადაც შესვლა გარკვეულ ბიუროკრატიულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. გარდა ამისა, შეხვედრას არ ესწრებოდა ფართო საზოგა-დოება.

---

<sup>42</sup> იქვე.

<sup>43</sup> საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 125-ე მუხლის მე-5 ნაწილი.